მედეა გვინჩიძე
ისტორიის ბაკალავრი, თსუ
dea.gvinchidze@gmail.com

1790 წლის ქართველ მეფე-მთავართა ტრაქტატი და პოლიტიკური ვითარება ქართულ სამეფო-სამთავროებში

საკვანძო სიტყვები: ქართლ-კახეთი, იმერეთი, საქართველოს გაერთიანება, ივერიელთა ტრაქტატი
Keywords: Kartli-Kakheti, Imereti, Unification of Georgia, Treaty of all Iberians

XV საუკუნიდან მოყოლებული სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური გარემოების გამო ვერ ხერხდებოდა. აღნიშნული საკითხი XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში გააქტიურდა. მას შემდეგ, რაც ერეკლე II ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა, გაჩნდა იმედი, რომ მას შეეძლებოდა დასავლეთ საქართველოს გვირგვინის მიღებაც და შესაბამისად, საქართველოს საბოლოოდ გაერთიანებაც. თუმცა, ვიდრე იმერეთის მეფე სოლომონ I იყო, ამაზე საუბარი ნაადრევად მოჩანდა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი, როდესაც ტახტი ვაკანტური გახდა და მისთვის ბრძოლაც გაჩაღდა, საკითხმა კვლავ წინა პლანზე წამოიწია. მიუხედავად საკითხის გააქტიურებისა, იურიდიული გაერთიანება ვერ შედგა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, თუმცა ქართველ მეფე-მთავრებს შორის 1790 წელს გაფორმებული „ტრაქტატი ყოველთა ივერიელთა“ დე-ფაქტო ერთიანობის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ ამ ფენომენის გააზრებასა და იურიდიული ვერგაერთიანების მიზეზების ახსნას შევეცდებით წინამდებარე სტატიაში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს *ნაწიღებისთვის* დამახასიათებელია ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების აღმავალი ტენდენცია. 1744 წლიდან 1762 წლამდე ქართლსა და კახეთში შეთანხმებულად მეფობენ მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე, ხოლო 1762 წლიდან უკვე ორივე სამეფოს გვირგვინს ერეკლე II იღებს, რის შემდეგაც აღმოსავლეთ საქართველო მეტად აფართოებს თავის გავლენას ამიერკავკასიაში. პოლიტიკური გაძლიერებით განმტკიცებულ სამეფოს მრავალი რენეგატი დაუბრუნდა, ოსი მოსახლეობა უბრუნდებოდა მართლმადიდებლურ რჯულს. მალე ქართველთა წარმატებები კავკასიის ფარგლებსაც გასცდა და ევროპის ყურებამდეც მიაღწია (შველიძე 2005). მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე წარმატებით ახერხებდა ლეკებისათვის სამხედრო წინააღმდეგო-

ბის გაწევას, მათ მიერ მოყენებული ზარალი მაინც აუნაზღაურებელი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე საუკუნეში ევროპა კავკასიის რეგიონით დიდად არ ინტერესდებოდა, ქართველმა მეფეებმა დახმარებისათვის ერთადერთ მართლმადიდებელ მეზობელს, რუსეთის იმპერიას მიმართეს და რამდენიმე ელჩობა განახორციელეს.

იმავე პერიოდში, 1752 წელს, იმერეთის ტახტზე სოლომონ I ადის, რომელიც ეტაპობრივად ახერხებს ფეოდალთა თარეშის ალაგმვას. სოლომონმა მემკვიდრეობით უაღრესად რთულ მდგომარეობაში მყოფი იმერეთის სამეფო მიიღო. სახელმწიფო ქონება დიდი ხნის განმავლობაში თავადებს ჰქონდათ მიტაცებული (ბერძენიშვილი 1973: 410), რომლებიც არც მეფის უზენაესობას ცნობდნენ და შესაბამისად, არც ემორჩილებოდნენ. ციხეების უმეტესობაში ოსმალთა გარნიზონები იდგა, რასაც ემატებოდა ტყვეთა სყიდვის გადაუჭრელი პრობლემაც, რომელიც ერთდროულად ერთადერთი ფინანსური წყაროც იყო და უცხოელ დამპყრობელს ნოყიერ ნიადაგსაც უქმნიდა იმერეთში ფეხის მოსაკიდებლად.

სოლომონის მეფობის ერთ-ერთი მთავარი მომენტი სწორედ ტყვეთა სყიდვას უკავშირდება. ამ საკითხის გამო მას დაპირისპირება უწევს ახლო ნათესავებთანაც, მათ შორის დედა, ბიძა და ბაბუა (კუპრაშვილი 2019: 27-28). თავის მხრივ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გამგებლებმა პირობა დადეს, რომ სოლომონს დაემორჩილებოდნენ და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგაც იბრძოლებდნენ. 1757 წელს გამართულ ხრესილის ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, „გამარჯვების შემდეგ სოლომონ I-ს უკვე ძალა შესწევდა, დამოუკიდებეილ პოლიტიკა ეწარმოებინა იმ მიზნების შესასრულებლად, რომლებიც მან დაისახა გამეფების ჟამს“ (კუპრაშვილი 2019: 43).

ხრესილის ბრძოლით სოლომონმა დიდი ომი წამოიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ქართველი მეფის გამარჯვებას ნელ-ნელა ტყვეთა სყიდვის მასშტაბების შემცირებაც მოჰყვა, რომელიც მეფემ ეკლესიასთან კავშირით მოახერხა. 1759 წელს გამართულ საკლესიო კრებაზე აიკრძალა ტყვეთა სყიდვა და ეკლესიამ თავისი გავლენისა და ავტორიტეტის აღდგენა მოახერხა. საუკუნეების შემდეგ ძლივს გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც თავისი წინამძღოლობით დასავლეთ საქართველოს პროგრესულ ნაწილს გააერთიანებდა (ბერძენიშვილი 1973: 413-414).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამ ქართველ მონარქს შორის 1758 წელს გაფორმებულ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველოთ“ (ბერძენიშვილი 1973: 414). ეს იმ ტენდენციის გამოხატულება იყო, რომ აღნიშნულ საუკუნეში საქართველოს გაერთიანების პერსპექტივა იკვეთებოდა.

მიუხედავად ამ ცდებისა, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, დასავლეთ საქართველოც თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის იმპერიაზე ამყარებდა იმედებს, რომელიც ყველა ქრისტიანი

ერის დამცველად აცხადებდა თავს, მათ შორის კავკასიელი ქრისტიანებისა. სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს რუსეთის დახმარებით ამასიის ზავით (1555 წ.) გამოწვეული პოლიტიკური პრობლემების მოგვარება ესახებოდათ.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების პოლიტიკის წყალობით ქართულ სამეფო-სამთავროებში სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა.

ერეკლემ ქართლ-კახეთის მეფედ ხელდასმის პირველივე წლებში ხელი მიჰყო რეფორმების გატარებას. თავდაპირველად შეზღუდა ძლიერი სათავადოები, ზოგიერთი მათგანი გააუქმა კიდეც (ქიქოძე 1942: 121). 1764 წლიდან ახორციელებდა რიგ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავდა ოსმალო-ყიზილბაშობის დროს თავადების მიერ მიტაცებული სამეფო მამულების დაბრუნებას. სიმშვიდის დამყარებამ სავაჭრო ურთიერთობებისა და ზოგადად, ეკონომიკის აღმავლობა განაპირობა. ქვეყანაში გაჩნდა მანუფაქტურის ტიპის საწარმოები, დაფანტული მწარმოებლები თავიანთ ძველ კერებს დაუბრუნდნენ (თაბუაშვილი 2020: 256). გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამხედრო რეფორმა, რომლის საფუძველზეც შექმნა რეგულარული არმია („მორიგე ჯარი“). მისმა შექმნამ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება განაპირობა. ერეკლე შეეცადა სასამართლო სისტემის დახვეწას, აღადგინა და გააუმჯობესა ქვეყნის მართვის დარგობრივი სისტემა.

დასტაბილურების გზას ადგა იმერეთის სამეფოც. მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების რიგი წარმატებებისა, სამეფო ხელისუფლება მყარ საფუძველზე ვერ იდგა და გარეშე მტერთან ბრძოლაში საგარეო მოკავშირე ცალსახად სჭირდებოდა. ამის გამო ის რუსეთში მაქსიმე ქუთათელს აგზავნის. იმერეთის მეფე რუსეთს სთხოვდა „იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას; თუ ეს არ მოხერხდებოდა, დახმარებოდა ფულით, რომ ჯარის გამოყვანისა და ბრძოლის გაგრძელების შესაძებლობა ჰქონოდა და, ბოლოს, თუ უთანასწორო ბრძოლაში მეფე დამარცხდებოდა, მიეცა თავშესაფარი რუსეთში“ (მაჭარაძე 1957: 29).

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებისაგან განსხვავებით, სადაც ხშირი იყო სამეფო ტახტის ხელიდან ხელში გადასვლა, ახალციხის საფაშოში თითქმის მთელი XVIII საუკუნის პირველი ნახევარი ისაყ I ჯაყელი (1701-1745 წწ.) ფაშობდა, რომელიც თავისი წინაპრების პოლიტიკის ერთგული გამტარებელი იყო და რეგიონში ოსმალეთის ინტერესების პირველი დამცველის როლსაც ასრულებდა. სამხრეთ საქართველოს ტერიტორია გაერთიანებული იყო ოსმალეთის იმპერიის ოთხ ვილაიეთში (საფაშო, ოლქი). ყოფილი სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი სწორედ ახალციხის საფაშოში იყო მოქცეული სანჯაყების სახით, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის დამსახურებით, სხვა საფაშოებთან შედარებით ძლიერი და პრივილეგირებული სტატუსის მფლობელი იყო. იქი-

დან გამომდინარე, რომ უშუალოდ ემეზობლებოდა როგორც ქართლის, ისე იმერეთის სამეფოებს, ოსმალეთი სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით ფიქრობდა დასახელებულ სამეფოებში თავისი ზეწოლისა და აგრესიის გავრცელებას.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ბოლო საუკუნეებთან შედარებით ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ვითარება დადგა. დასავლეთ საქართველოში, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტი ვაკანტური იყო. 1784 წლის 8 მაისის წერილი, რომელიც ერეკლეს გენერალ პოტიომკინისადმი აქვს გაგზავნილი, მოწმობს, რომ სოლომონმა მემკვიდრედ თავისი ძმისშვილი დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II) გამოაცხადა, რასაც მისი ანდერძიც ადასტურებს (ტყეშელაშვილი 2016: 144). შეთანხმება დაიდო ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეს შორის, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სოლომონი არასრულწლოვანი იყო და თავად დიდებულებს დავით გიორგის ძის გამეფება სურდათ, ქვეყანაში ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა.

1790 წელს ერეკლეს იმერელ დიდებულთა დელეგაცია ეწვია და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების წინადადება შესთავაზა. მათ ერეკლეს მოახსენეს: „რადგანაც არა გვსურს მეფე დავით, მიმტაცებელი ტახტისა, ინებე და შეიერთე თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“ (იოსელიანი 1936: 15). ერეკლემ დარბაზობა მოიწვია, თუმცა დარბაზობის ბოლოს ქართლ-კახეთის მეფემ იმერეთის შეერთებაზე უარი განაცხადა (შველიძე 2004: 14).

გაერთიანების გეგმის ჩაშლის შემდეგ, იმავე წლის ივნისში, ქართლ-კახეთის ვიცე კანცლერის, სოლომონ ლიონიძის თაოსნობით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა და ქალაქსა თფილისს“, რომელიც საქართველოს კონფედერაციულ საფუძველზე ფაქტობრივ გაერთიანებასა და უფრო მტკიცე კავშირის შექმნას გულისხმობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდგომი განვითარება არ ეწერა (შველიძე 2004: 14).

ტრაქტატის სრული ტექსტი ყველაზე ადრე გამოქვეყნებული აქვს პლატონ იოსელიანს თავის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. იგი გამოცემულია ასევე ქართული სამართლის ძეგლების მეორე ტომში – „ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“ (ქართული სამართლის ძეგლები 1965: 501). საინტერესოა, რომ ისტორიოგრაფიაში ძირითადი ყურადღება სწორედ პლატონ იოსელიანის ცნობაზე არის გამახვილებული, ე. ი. გაერთიანებასთან დაკავშირებით მსჯელობასა და ერეკლეს უარზე, ხოლო თავად „ტრაქტატი ყოველთა ივერიელთა“ ნაკლებად არის შესწავლილი.

ეს დოკუმენტი, ტრაქტატი, წარმოადგენს საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის გაფორმებულ სამხედრო კავშირს საერთო მტრების წი-

ნააღმდეგ: „შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.“ (ქართული სამართლის ძეგლები 1965: 501). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიოგრაფიაში ძირითადი ყურადღება პლატონ იოსელიანის ცნობაზეა გამახვილებული: გაერთიანებასთან დაკავშირებულ ბჭობასა და ერეკლეს უარზე, ხოლო თავად ლიონიძის მიერ შექმნილი ტრაქტატი ნაკლებად არის შესწავლილი. ეს გასაკვირიცაა, ვინაიდან იგი მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს არა მარტო პოლიტიკური ასპექტით, არამედ თავისი შინაარსით. „ის გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ ქართველი ერი ერთს კოლექტივს წარმოადგენს, დაყრდნობილს ენის, სისხლის ნათესაობის, სარწმუნოების ერთობაზე და „მავასხელობითს სიყვარულზე“, ე. ი. დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, მოქმედ პატრიორულ გრძნობაზე“, აღნიშნავს გერონტი ქიქოძე (ქიქოძე 1942: 203). მასში ვლინდება ის დამოკიდებულება, რომ ქართველი მეფე-მთავრები საქართველოს ისე აღიქვამენ, როგორც ერთიან სამშობლოს. მსგავს ახსნას გვთავაზობს აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიაც: „პირველად დიდი ხნის შემდეგ, კატეგორიულად და მკაფიოდ გამოხატულ იქნა ეროვნული ძალების და გაერთიანებისადმი მისწრაფება ქართველობის მთლიანობის შეგნება“ (პაპასქირი 2025: 25). მათი ერთობის საფუძვლადაც სწორედ ივერიელობა აქვთ დასახელებული, ქართველობა, რაც გულისხმობს სისხლით ნათესაობას, ერთი მრწამსის მიმდევრობას, ერთ დედა-ენას და ერთმანეთისადმი „მავასხელობით“ სიყვარულს.

ტრაქტატი შედგება შესავლის, რომელშიც ზოგადი ნაწილია განხილული და ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს მმართველის მიერ შექმნილი ოთხი დოკუმენტისაგან. შესავალი ნაწილის შემდგომ „ტრაქტატ პირველს“ ხელს აწერს მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე II, მასთან ერთად მისი მეუღლე, დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა – დარეჯან დადიანი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე. დაახლოებით იმავე ტექსტს, მცირედი ფაქტობრივი ცვლილებებით, აწერს ხელს დანარჩენი სამი მეფე-მთავარიც, იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810 წწ.) და მასთან ერთად მისი მეუღლე მარიამ დედოფალი, ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი (1788-1804 წწ.) და გურიის მთავარი სიმეონ III გურიელი (1788-1792 წწ.). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრაქტატში აფხაზეთისა და სამცხის მთავრები არ ფიგურირებენ. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, ოსმალთა იმპერიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და ქართული მმართველობა გაუქმებული იყო, ხოლო აფხაზთა სამეფო საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა ოდიშის სამთავროსაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საინტერესოა, რატომ გაესვა ხაზი „ყოველთა ივერიელთა“, მაშინ, როდესაც ტერმინი „ქართველი“ თავისთავად გულისხმობს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას. ჩვენი

აზრით, საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთისაგან განცალკევებისა და მუდმივი შინაომების შედეგად, „ქართველი“ დამცრობილი იყო „ქართლელად“ და როგორც ქართული სამართლის ძეგლებში მოყვანილ ერეკლეს მიერ 1791 წელს განახლებულ და ხელმოწერილ დოკუმენტში: „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სასამეფოისათვის საქართველოისა“ (ქართული სამართლის ძეგლები 1965: 509) ვკითხულობთ, „საქართველო“ ან ქართლის სამეფოს გულისხმობდა ან კიდევ ქართლ-კახეთის. ე. ი. ქართველს ვხვდებით არა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანის, არამედ მეგრელების, ლაზების, სვანების თუ მესხების გვერდით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები პირის აღმნიშვნელად. იმავე მნიშვნელობით ვაწყდებით მას პლატონ იოსელიანთან, როდესაც იოანე მუხრანბატონი ერეკლეს შემდეგი წინადადებით მიმართავს: „ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა?“ (იოსელიანი 1936: 16). აშკარაა, რომ „ქართველთა“ არის განკუთვნილი არა იმერეთის სამეფოში მცხოვრებთათვის, არამედ ერეკლეს სამეფოს მოსახლეობისათვის. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ ერთიანდება „ივერია“ და არა „საქართველო“. ტრაქტატის შესავალ და მის ძირითად ნაწილში საერთო წარმომავლობის, ქართველთა ერთიანობის ეთნო-კულტურული მახასიათებელია ხაზგასმული (თარგამაძე 2019: 179-180).

ბუნებრივია, ტრაქტატის გაფორმებისას მეფე-მთავრებმა იცოდნენ, რომ ერთი სისხლისა და ენის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა ზემოთ განხილულ მიზეზთა გამო, გადაწყვიტეს ძველი ტერმინი „ივერია“ და „ივერიელნი“ გამოეყენებინათ. აქ ვხვდებით დაყოფას – „ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი“. **ზემო ივერიაა** აღმოსავლეთ საქართველო – ქართლ-კახეთი და ერეკლეს სხვა სამფლობელოები, ქვემო ივერია კი აღნიშნავს იმერეთის სამეფოს, ოდიშსა და დადიანის მმართველობას დაქვემდებარებული სხვა სამთავროები და გურია (ფუტკარაძე 2011: 216).

მხარეების მიერ წამოყენებული პირობები ერთნაირია და თითოეულ მუხლს მიყოლებით განვიხილავთ. პირველი მუხლის მიხედვით, ერთის მტერი ყველას მტერი იქნებოდა და იგივე ითქვა მოყვარეზე. დაახლოებით იმავე შინაარსის მატარებელია მეორე და მეოთხე მუხლებიც. მეორე მუხლის მიხედვით, სამეფო-სამთავროებს ერთმანეთის სიმშვიდისათვის უნდა ეზრუნათ და მუდამ მზად ყოფილიყვნენ რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, ერთი მტრის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. მესამე მუხლის მიხედვით, ერეკლე პირობას დებდა ეზრუნა და დაეცვა ისინი, როგორც საკუთარი ქვეყნის შვილებზე. იმავე პირობას დებდნენ დასავლეთის მეფე-მთავრებიც. მეოთხე მუხლის მიხედვით, მტრების თავდასხმის შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად მცირე თუ მრავალრიცხოვანი იქნებოდა იგი, ხელმომწერნი მზად უნდა ყოფილიყვნენ, რომ „სიტყვითა და საქმითა“

დახმარებოდნენ ერთმანეთს. მეხუთე მუხლის მიხედვით, ერეკლე პირობას იძლეოდა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების ძალით ყველანაირად ეცდებოდა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სამეფო-სამთავროების დახმარებასაც და ჩართვას ამ ხელშეკრულების პირობებში. ხოლო უკანასკნელი მეექვე მუხლის მიხედვით, ისინი „ერთგვამად“ შეერთების პირობას დებენ. „მავასხელობითი“ სიყვარულის გამო, რა სიტყვაც წესით ვახშისაგან უნდა გამომდინარეობდეს და სავალდებულოს სინონიმს წარმოადგენდეს, ერთი რჯულისა და ენის გამო, იმ ყველა გამაერთიანებელი ფაქტორის გამო, ისინი ერთ გვამად, ერთ სხეულად შეკვრის მტკიცე პირობას დებენ.

ტრაქტატის ნიმუშები, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული მეფე-მთავრების, მღვდელმთავრებისა და მოხელეების მიერ, ყველგან განაცხადეს, მათ შორის რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თანაც. სამი წლის შემდეგ კი, 1793 წელს ტრაქტატით შეერთებული სამეფო-სამთავროები სწორედ რუსეთის იმპერატორს სთხოვდნენ საერთო მფარველობას (ბერძენიშვილი 1973: 467). მისი სულისჩამდგმელი სოლომონ ლიონიძე დაუღალავად აგრძელებდა ტრაქტატის არსის მნიშვნელობის ყველასათვის გადაცემას, ამტკიცებდა რა, რომ თვითმყოფადობის დამკარგველი ყველა ერი კარგავს თავის სულიერებას, სიძლიერესა და ღირსებას. „ხმა ლიონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოსა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა“, თუმცა „ვერღა ჰპოვა ღონე“.

ამგვარად, 1790 წელს გაფორმებულ „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელშიც ქართველი მეფე-მთავრები ერთმანეთს ერთი სისხლის, ერთი ენის, ერთი რელიგიის, ერთი კულტურისა და ერთი სხეულის მქონე ერთეულად ასახელებენ, რა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მათი შემდგომი შეკავშირება და გაერთიანება.

ახლა შედარებით სიღრმისეულად უნდა განვიხილოთ ის პოლიტიკური ხასიათი, რომელსაც ტრაქტატი ატარებდა და მის გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეები, მიზნები და საბოლოო შედეგები. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული დოკუმენტი ახალი სამხედრო და პოლიტიკური რეალობის დადგომას მოასწავებდა და ყველა იმ გზების შესახებ მიუთითებდა, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა (თარგამაძე 2019: 179-180).

ტრაქტატის დადების მიზნები და შედეგები

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტი მის ძმისშვილსა და ერეკლეს შვილიშვილ, დავით არჩილის ძეს უნდა დაეკავებინა, თუმცა სოლომონ I-ის ბიძაშვილი, დავით გიორგის ძე მის წინააღმდეგ ინ-

ტრიგების ქსელს ხლართავდა. როგორც ვიცით, იმერეთის სამეფო დასავლეთ საქართველოში არსებულ სამთავროებს თავის ქვეშევრდომებად თვლიდა, ქვეყნის გაერთიანების პროცესი კი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაერთიანებით, ცხადია, არ დასრულდებოდა. დღის წესრიგში ჩადგებოდა აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს შემოერთებაც, რაც არ აწყობდათ დამოუკიდებლობისა და პარტიკულარიზმისადმი მიდრეკილ მთავრებს. წინააღმდეგობა არც იმერელი ფეოდალებისაგან იქნებოდა გასაკვირი, რომლებიც თავიანთი პირადი ზრახვების საწინააღმდეგო ერთიან განმტკიცებულ ხელისუფლებას ვერ შეურიგდებოდნენ.

საინტერესოა, რომ იმერეთის სამეფოში სწორედ ფეოდალების მიერ უკანონოდ გამეფებული დავით გიორგის ძე გამოდის იმავე ფეოდალების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი ფიქრობდნენ, რომ თავიანთი ხელით დასმული მეფე მარტივი სამართავი და მათი პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ საამისოდ შესაბამისი გარანტიებიც მოსთხოვეს და გელათში ერთგულების ფიციც დაადებინეს (ლორთქიფანიძე 1940: 45). თუმცა მმართველობის 5 წლის განმავლობაში, დავით გიორგის ძე მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და ფეოდალებთან ურთიერთობის გაუარესების შემდეგ, ტახტის დაკარგვის შიშით, დახმარებას რუსეთის იმპერიისაგან ელოდა. იქიდან გამომდინარე, რომ მოლოდინი ამაო აღმოჩნდა, იმერეთის მეფე ფეოდალებს „დაუტკბა“, რაც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მანამ სანამ 1789 წლის 14 ივლისს სოფელ მათხოჯთან ქართლ-კახეთისა და სამეგრელოს ჯარების წინაშე არ დამარცხდა. იმერეთის ტახტი კი დავით არჩილის ძემ, იგივე სოლომონ II-მ დაიკავა. თავდაპირველი გამარჯვების მიუხედავად, მისი მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინაიდან ერთი წლის შემდეგ, ახალციხეში გაქცეულმა დავით გიორგის ძემ ოსმალებისა და ლეკების დახმარებით ტახტის დაბრუნება მოახერხა (ბერძენიშვილი 1973: 466). სოლომონმა კი დასახმარებლად ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიმართა. ეს უკანასკნელი კი სამზადისს შეუდგა. სწორედ აქედან იწყება ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი.

1790 წელს, იმ მიზნით, რომ სოლომონისთვის ტახტის დაკავებაში ხელი შეეშალათ, ერეკლეს ელჩობით ესტუმრა იმერეთის საერო და საეკლესიო ფეოდალების წარმომადგენლობა (ბერძენიშვილი 1973: 466) და ერთი გვირგვინის ქვეშ გაერთიანების წინადადება შესთავაზა. მოცემული ელჩობით დაინტერესებული იყო არა მარტო იმერეთისა და ქართლ-კახეთის არისტოკრატია და სამღვდელოება, არამედ გურიისა და სამეგრელოს მთავრები, დასავლეთ საქართველოს ძირითად მოსახლეობასთან ერთად. ამ უკანასკნელიდან წარსდგნენ: ეპისკოპოსი ექვთიმე გელათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე

აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და „ფიცის კაცები“: ლორთქიფანიძე, იოსელიანი და ავალიანი (კუპრაშვილი 2019: 94). ჩამოთვლილმა პირებმა ერთგულების ფიცი დადეს და თბილისში ერეკლეს სამეფო კარს ესტუმრნენ. „მთელ ერს სწყურის ერთობა, ერთი მთავრობა და ერთი მეფე ისევე, როგორც ძველად ვყოფილვართ“ – აცხადებენ ექვთიმე გელათელი და დოსითეოს ქუთათელი. ერეკლემ მოუსმინა დესპანებს, თუმცა პასუხი არ გაუცია, სამეფო კრებას დავნიშნავ და თქვენ თხოვნას განვიხილავთო („მოგზაური“ 1902ა: 9).

აუცილებლად მიგვაჩნია, ჩავუღრმავდეთ იმერელი ფეოდალების ჭეშმარიტ განზარხვებსა და მიზნებს. არსებობს ვარაუდი, რომ მათ ამჟამად ერეკლეს მიმართ სურდათ იმ პოლიტიკის გატარება, რაც ასე წარუმატებლად გამოუვიდათ დავით გიორგის ძის მიმართ. ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ აღმოსავლეთ საქართველო ბატონიშვილებისა და დიდებულების თავაშვებულობას მოეცვა, იზრდებოდა ერეკლეს მეუღლის დარეჯან დადიანის ძალაუფლება, რაც თავის მხრივ ასუსტებდა მეფის ძალაუფლებას და სცემდა მის ავტორიტეტულობას. ამგვარი მდგომარეობის ფონზე ერეკლე ვერც იმერეთში შეძლებდა მყარი კონტროლისა და გავლენის დამკვიდრებას და ისიც ფეოდალების შემყურე და პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდებოდა. ეს ყველაფერი კი, ცხადია, მთავრების სურვილებს ზუსტად შეესატყვისებოდა. მათ შემოთავაზებულ პროექტში ისიც ჰქონდათ აღნიშნული, რომ თუ კი ერეკლე სხვა მიმართულებით დაიწყებდა სვლას, ფეოდალებს მისი გადაყენებისა და სხვა სასურველი კანდიდატის გამეფება შეეძლებოდათ, რასაც იმერელი თავადის ქაიხოსრო წერეთლის სიტყვებიდან ვასკვნით: „უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისთვის და მეფობისა თქვენისთვის მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლიონ თვისად მეფე თვისი“ (იოსელიანი 1936: 16). იმერელთა დელეგაცია ფაქტობრივად აღიარებდა, რომ სამეფო ტახტზე სოლომონის დასმა არ სურდათ და ამის გამო ერეკლეს სთავაზობდნენ გვირგვინს.

ქართლ-კახეთის მეფემ დარბაზობა მოიწვია და ბჭობა სამი დღე გაგრძელდა (ბერძენიშვილი 1973: 466). ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ და ქვეყნის გაერთიანების სიკეთეს სხვადასხვა ასპექტებით ასაბუთებდნენ (შველიძე 2004: 14). წევრთა უმეტესობა გაერთიანების მომხრე იყო, თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგენიც, მათ შორის, როგორც ჩანს, თვითონ ერეკლეც. „მოგზაურის“ (უცნობი ფსევდონიმი) სტატიის მიხედვით, ქვეყნის გაერთიანების გეგმას ყველაზე მეტად კახელი თავადიშვილები უჭერდნენ მხარს, ხოლო მოწინააღმდეგეებად უმეტესად ქართლის თავადობა გამოდიოდა („მოგზაური“ 1902ა: 10). ერეკლემ ორივე მხარეს გულდასმით მოუსმინა და მესამე დღეს, მეორედ მოწვეულ სხდომაზე დასავლეთ საქართველოს დელეგატებს უარყოფითი პასუხი მოახსენა.

ჩავუღრმავდეთ თვითონ დარბაზის ბჭობის პროცესსაც. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, პირველი და ძლიერი ხმა გაერთიანების მომხრეებ-

თაგან ჭაბუა ორბელიანს ეკუთვნოდა, რომელიც თითქოს მიუხვდა ერეკლეს ორჭოფობას და უთხრა: „ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოუღო მეფობა შვილისშვილსა ჩემსა?“, როგორც ჩანს, ორბელიანი ერეკლეს ყოყმანს შვილიშვილისათვის გვირგვინის წართმევის ფაქტორით ხსნიდა, თუმცა იგი საკმარისად კარგ მიზეზად არ მიაჩნდა, „ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყანისა“ (იოსელიანი 1936: 16). ორბელიანის გულმხურვალე გამოსვლის შემდეგ დუმილმა დაისადგურა, რითაც ისარგებლა იოანე მუხრანბატონმა, რომელიც თვლიდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო ვერ „მოუვლიდა“ დასავლეთს და შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?“ (იოსელიანი 1936: 16). მის სიტყვებს განურისხებია სარდალი დავით დემურაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ იოანე მუხრანბატონი ნამდვილად ვერ მოუვლიდა თავისი ხმლით ქვეყანას, მაგრამ „ყოველთვის ხომ იოანე მუხრან-ბატონი არ იქნება და მისნი თანამოაზრენი!... მოვა დრო, მოვლენ სხვა მუხრან-ბატონები და ისინი შეიწყნარებენ და შეითვისებენ ერთობის აზრსა“. დავითის აღელვებულ სიტყვაზე ჭაბუა ორბელიანმაც აიმაღლა ხმა: „ერთობა ქართველთა არის ძალა ქართველთა“ („მოგზაური“ 1902ბ: 9). ერეკლეს პასუხად არაფერი გაუცია, დარბაზი დაუტოვებია და პირველი ყრილობა ასე დამთავრებულა.

საინტერესოა, რომ ბევრის აზრით, ერეკლე დარეჯან დედოფლის უარყოფითი რეაქციის გამო ორჭოფობდა. მეფეს ალექსანდრე წერეთელი ესტუმრა, რომლის მოხსენებამაც ერეკლე საკმაოდ გააოგნა. როგორც ჩანს, დარეჯან დედოფალს უთქვამს, რომ ამერ-იმერთა გაერთიანებას იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ კი მისი ვაჟი იულონი იქნებოდა მეფე („მოგზაური“ 1902ბ: 9-10), არადა თვითონ ერეკლესთან დარეჯანმა სასტიკი წინააღმდეგობა გამოთქვა გაერთიანებასთან დაკავშირებით: „ჩემს სამშობლოსა ოჯახს როგორ შეიძლება, რომ ტახტი წაერთავს და გამოეწიროსო“ („მოგზაური“ 1902ბ: 9). დარეჯანი იმერეთის მეფედ ნამდვილად ითხოვდა იულონს, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს მეფედ კანონიერი გიორგი ან მისი შვილი სურდა. ერეკლე საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, არ იცოდა რა პასუხი გაეცა დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთათვის („მოგზაური“ 1902ბ: 9).

დარეჯან დედოფალს ქუთათელი, გაენათელი და სხვა სამღვდელოების წარმომადგენელნიც ესტუმრნენ და გულდასმით უხსნიდნენ ტრაქტატის მნიშვნელობას, რომ გაერთიანების ჩაშლის შემთხვევაში იმერეთის ტახტთან ერთად, თქვენი გვარიც შეიძლება დაიმსხვრესო („მოგზაური“ 1902ბ: 9). მიუხედავად ამისა, დედოფალს გადაწყვეტილება მაინც ვერ შეაცვლევინეს, გაერთიანებას იმ შემთხვევაში დავუჭერ მხარს თუ კი მეფედ იულონი იქნება დასმულიო („მოგზაური“ 1902ბ: 9).

მესამე დღეს გამართულ დარბაზობაზე ერეკლე მეფეს თავისი ვაჟისთვის გიორგისთვის მიუმართავს და მისი აზრი უკითხავს. როგორც ჩანს, გიორგი ბატონიშვილიც გაერთიანების დიდი გულშემატკივარი იყო, ვინაიდან მასში ქვეყნის სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველს ხედავდა: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყანისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იმქნას ერთობა“ (იოსელიანი 1936: 17). იმავეს ღაღადებდა ჭაბუა ორბელიანიც: „ჩვენი ქვეყანა დაეცა იმ დროს, როცა ერთობა დაგვერღვა. თუ გვსურს, რომ დავიფაროთ ქვეყანა და მეფობა ჩვენი, უთუოდ უნდა მოხდეს ერთობა და ერთ-მეფობა.“ („მოგზაური“ 1902ბ: 9) სამეფო-სამთავროების გაერთიანების მომხრეთა სამწუხაროდ, ერეკლემ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი განაცხადა და დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელნი იმედგაცრუებული გამოუშვა უკან: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ: მტერი მადგას კარსა: ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული, – დესპანნო წარვედით და იმერთა ერს გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზეც შვილიშვილს ჩემს და ესრეთისა კავშირითა თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“ (იოსელიანი 1936: 17-18). დაიბარა, ჯარს გამოგიგზავნით და სოლომონ II-ს გავამეფებო. იმავე წელს თავისი სამეფოდან 4000 კაცი გაგზავნა ახალგაზრდა მეფის დასახმარებლად, რომელსაც თან ახლდნენ იულონ ბატონიშვილი, იოანე მუხრანბატონი და ზაქარია ანდრონიკაშვილი („მოგზაური“ 1902ბ: 9). მათ დავით გიორგის ძე ტახტიდან ჩამოაგდეს და სოლომონ II გაამეფეს. ასე და ამგვარად ჩაიშალა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა საქართველოს გაერთიანებისა, თუმცა ახალი მეფე ბოლომდე ერეკლეს ერთგული მოკავშირე დარჩა და ყოველთვის აღიარებდა მის უპირატესობას (დუმბაძე 1973: 729).

საინტერესოა, რატომ განაცხადა უარი ერეკლემ ისეთ შემოთავაზებაზე, რისთვისაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა. ისტორიოგრაფიაში მისი უარყოფითი პასუხი დიდ შეცდომად არის მიჩნეული. თუმცა ჩვენს ნაშრომში განხილული საკითხების ფონზე მისი გადაწყვეტილება ბევრი მიზეზით შეიძლება აიხსნას.

დასაბუთება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ერეკლე გამოცდილი და მოხერხებული მმართველი იყო, რითაც, ერთი მხრივ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფეოდალების ფანდს არ წამოეგო და სწორედ ამიტომაც განაცხადა უარი ამ ორპირულად შემოთავაზებულ წინადადებაზე. აკაკი გელაშვილის თქმით, უარი იმ მოტივით ითქვა, რომ შვილიშვილის გამეფება თავისთავად გულისხმობდა ამ სამეფოების გაერთიანებას. შეიძლება ერეკლეს ჰქონდა იმის იმედი, რომ თავისი შვილიშვილის გამეფებით ისედაც გადაწყდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანების საკითხი. დიმიტრი შველიძე თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ბაბუამ საკუთარი შვი-

ლიშვილი გვირგვინის გარეშე არ დატოვა და ასე და ამგვარად ჩაფუშა ქვეყნის გაერთიანების საქმე (შველიძე 2004: 14). გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ერეკლემ ვერ იგრძნო ერთობის ძალა და მნიშვნელობა და დედოფალს აყოლილმა, ნათესაური პატივისცემის გამო თქვა უარი გაერთიანებაზე („მოგზაური“ 1902ბ: 9). ასეთი ვარაუდიც არსებობს, რომ ტრაქტატი გაფორმდა იმ მოტივით, რომ ერეკლეს გარდა, სხვა მეფე-მთავრებსაც სურდათ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება, რათა რუსეთის მფარველობაში შესულიყვნენ და დანარჩენი მუსულმანი მტრებისაგან თავი დაეცვათ (იხ. ტრაქტატის მეექვსე მუხლი). ეს ყოველივე ტრაქტატის იდეოლოგიას საერთოდ არ აკნინებს, პირიქით 1790 წლის „ტრაქტატი ყოველთა ივერიელთა“ სწორედ ამ გარემოებით არის მნიშვნელოვანი და აქტუალური.

საკითხის განხილვისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ გარე ძალებიდან ვის აძლევდა ხელს გაერთიანებული საქართველო და ვის არა. ირანს საკუთარი პოზიციების შემდგომი განმტკიცების მიზნით, სწორედაც რომ ხელს აძლევდა თავის „ერთგულ“ ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს შეერთება. ირანისაგან განსხვავებით საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება არ აწყობდა რუსეთის იმპერიას, რომელიც თავის მხრივ, დაქუცმაცებული სამეფოების რიგრიგობით „გადაყლაპვას“ ისახავდა მიზნად. რუსეთის წარმომადგენელ პოლკოვნიკ სტეფანე ბურნაშოვსაც უთქვამს ერეკლესთვის, რომ მის ამ ნაბიჯს იმპერია არ მოიწონებდა (გელაშვილი 2019: 197). ეს გასაკვირი არც არის, ვინაიდან ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი კი ოსმალეთს მიაჩნდა თავისად, ამერ-იმერეთის გაერთიანებას კი არც ერთი იყაბულებდა, არც მეორე (ბერძენიშვილი 1973: 466).

ტრაქტატში კარგად ჩანს ქართველი მეფე-მთავრების დამოკიდებულება საქართველოსადმი, როგორც მათი ერთიანი სამშობლოსადმი. მასში ხაზგასმულია ივერიელობა, ქართველობა, სისხლით ნათესაობა, ერთმორწმუნეობა, ერთი ენა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მისი გაერთიანება. ის წარმოადგენს ნათელ მტკიცებას იმისას, რომ ქართველთა მეფე-მთავრები თვლიდნენ, რომ მათი ერთიანი თავისუფლებისთვის, გადარჩენისა და ბედნიერებისათვის ივერიის მთელი ძალების მობილიზება და შეერთება იყო საჭირო.

დასმულ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს, ვინაიდან, როგორც ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე შენიშნავს, ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც 1790 წელს საქართველო ვერ გაერთიანდა, ისაა, რომ „ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა.“ (შველიძე 2004: 14). გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმების სურვილი იმერე-

თის სამეფოსაც ჰქონდა, თუმცა, ამას შესაძლოა თურქეთთან ურთიერთობის გართულება მოჰყოლოდა, შესაბამისად რუსეთი შედარებით ფრთხილი პოლიტიკის გატარებას შეუდგა. თუ კი ამ ორ სახელმწიფოს შორის ყირიმის საკითხი უსისხლოდ გადაწყდებოდა, ეს რუსეთის იმპერიის დიდი გამარჯვება იქნებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კი ომი დაიწყებოდა და რუსეთს ხელთ ექნებოდა იმერეთის მფარველობაში მიღების ოფიციალური დოკუმენტი, თურქეთი ყირიმთან ერთად დასავლეთ საქართველოსაც დაკარგავდა. ამ ყველაფრის ფონზე რუსეთი საკმაოდ ყურადღებით იყო ჩაბმული იმერეთთან ურთიერთობის გააქტიურებაში. შესაბამისად, როდესაც სოლომონმა რუსეთს ხელშეკრულების გაფორმებისა და ერეკლესთან შერიგების თხოვნით მიმართა, პავლე პოტიომკინმა ტექსტის ფორმა შეადგინა და პოლკოვნიკ ტამარას ხელით იმერეთში გაგზავნა, 1784 წლის 4 მარტს კი სოლომონმა ხელიც მოაწერა. ერეკლესთან შერიგებას რაც შეეხება, როგორც ჩანს, რიგ მიზეზთა გამო ორ ქართველ მეფეს შორის ურთიერთობა 70-იანი წლების ბოლოს საკმაოდ დაძაბული იყო, თუმცა მოგვიანებით შერიგებულან და სოლომონს ერეკლეს მდივნისთვის უთქვამს გადაუდებელ საკითხზე მსურს შეხვედრა და ერეკლესთან მოლაპარაკებაო. შეხვედრის წინადადება საკმაოდ გახარებია ქართლ-კახეთის მეფეს და სოლომონი თბილისში მოუწვევია, თუმცა შეხვედრა ვერ განხორციელდა, ვინაიდან 1784 წლის 23 აპრილს იმერეთის მეფე გარდაიცვალა (სამსონაძე 1988: 265). ასე და ამგვარად, ვერ შედგა ქვეყნის „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ საქმე, რისკენაც ასე მიისწრაფოდა ორივე ქართველი მეფე და რა საქმეც ორი ქართული სამეფოს გაერთიანებით უნდა დაგვირგვინებულიყო. სამაგიეროდ, სწორედ ამ მისწრაფებამ დააკავშირა ისინი რუსეთის ქრისტიანულ სახელმწიფოსთან. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, თვალსაჩინოა ამ საქმის ზოგადი პროგრესული მნიშვნელობა, რაც ევროპის კულტურის, განათლების, პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკისაკენ მიმავალი ხიდი იყო, თუმცა იმისათვის, რომ საქართველო ამ შედეგებამდე მისულიყო, წინ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და მრავალსაუკუნოვანი მძიმე და ტანჯული ცხოვრება ელოდა.

ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი, რომელსაც წარმოადგენს 1790 წელს გაფორმებული „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“. მოცემული ტრაქტატი ქართულ სამეცნიერო სივრცეში ფართო განხილვის საგანი არ ყოფილა და მიუხედავად იმისა, რომ ვერც მოცემული ნაშრომი ამოწურავს მის კვლევას, ჩვენ ვეცადეთ შედარებით სიღრმისეულად შეგვესწავლა იგი. პირველ ეტაპზე ჩვენ საქართველოს XVIII საუკუნის ზოგადი სურათი შევქმენით, რა ქრონოლოგიური ჩარჩოც სპეციალურად იქნა შერჩეული, რათა უკეთ გავრკვეულიყავით შიდა თუ გარე პოლიტიკური

სვლების არსში, მათ შორის ტრაქტატის გაფორმებასთან დაკავშირებულ სირთულეებსა თუ გამოწვევებში.

აუცილებლად მივიჩნიეთ ტრაქტატის შინაარსის მოტანაც, ვინაიდან, უკეთ ყოფილიყო აღქმული მისი მიზნები და ის მოლოდინები, რაც ხელმომწერ მხარეებს ჰქონდათ ტრაქტატის დადებისას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა 1790 წლის ტრაქტატზე საუბრისას ენიჭება საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობას, რომელიც ტრაქტატს უძღვოდა წინ. ნაშრომში ვეცადეთ წარმოგვეჩინა ყველა ის მიზეზი (საშინაო თუ საგარეო), რის გამოც ვერ შედგა აღნიშნული გაერთიანება. თუმცა, მიუხედავად იმ მომენტში ნათქვამი უარისა, იმერეთის ტახტზე სოლომონ II-ის ასვლა თავისთავად გულისხმობდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის არაფორმალურ გაერთიანებას (ისევე როგორც ეს იყო თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის შემთხვევაში).

თავად ტრაქტატის გაფორმების მიზეზებზე ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. ერთი კი შეიძლება ფაქტი იყოს, რომ აღნიშნულ პერიოდში, რეგიონიდან რუსეთი გადის, ხოლო ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხე იზრდება, აქედან გამომდინარე, ქართულ სახელმწიფოებისთვის ურთიერთდახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **ბერძენიშვილი 1973:** ბერძენიშვილი ნიკო. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973;
- **გელაშვილი 2019:** გელაშვილი აკაკი. ერეკლე II, ქართველი მეფეები, პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2019;
- **დუმბაძე 1973:** დუმბაძე მამია. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტომის რედაქტორი **მამია დუმბაძე**, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973;
- **თაბუაშვილი 2020:** თაბუაშვილი აპოლონ. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, გამომცემლობა „კოლორი“, თბილისი, 2020;
- **თარგამაძე 2019:** თარგამაძე ზურაბ. ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები: XVIII საუკუნე, ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019;
- **იოსელიანი 1936:** იოსელიანი პლატონ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ფედერაცია, ტფილისი, 1936;
- **კუპრაშვილი 2019:** კუპრაშვილი სულხან. სოლომონ I და სოლომონ II, ქართველი მეფეები, პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი, გამომცემლობა პალიტრა L, 2019;
- **ლორთქიფანიძე 1940:** ლორთქიფანიძე იასონ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), ნაკვ. II, თბილისი, 1940;

- **მაჭარაძე 1957:** მაჭარაძე ვალერიან. ასპინძის ბრძოლა, სახელგამი, თბილისი, 1957.
- **„მოგზაური“ 1902ა:** „მოგზაური“ (ფსევდონიმი), საქართველოს გაერთიანების აზრი მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.), პირველი ნაწილი, გაზ. „მწყემსი“, 1902, 15-30 მარტი, №6. გვ. 9-10;
- **„მოგზაური“ 1902ბ:** „მოგზაური“ (ფსევდონიმი), საქართველოს გაერთიანების აზრი მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.), დასასრული, გაზ. „მწყემსი“, 1902, 15 მაისი, №8-9. გვ. 9-11;
- **პაპასქირი 2025:** პაპასქირი ზურაბ. *შესავალი სიტყვა,* წიგნში – სიმონ ჯანაშია. აფხაზეთი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის დროისა და პირობების შესახებ, *აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას* ორი რუსულენოვანი ნაშრომის ქართული პუბლიკაცია. თარგმანი და კომენტარები **ნიკოლოზ სარაჯიშვილის** და **ბაჩანა რუხაიასი.** შესავალი წერილი და სამეცნიერო რედაქცია **ზურაბ პაპასქირის.** უახლესი ისტორიის ცენტრი, თბილისი, 2025;
- **სამსონაძე 1988:** სამსონაძე მიხეილ. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988;
- **ტყეშელაშვილი 2016:** ტყეშელაშვილი ლევან. იმერეთის მეფე სოლომონ I – დიდი, ქუთაისი, 2016;
- **ფუტკარაძე 2011:** ფუტკარაძე ტარიელ. 1790 წლის „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ ტექსტის სემანტიკური ანალიზი (ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი; ერთისა ენსია მქონებელნი; მავასხებლობითი/მავახსელობითი სიყვარული), ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, 2011, III, გვ. 214-220;
- **ქართული სამართლის ძეგლები 1965:** ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X – XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965;
- **ქიქოძე 1942:** ქიქოძე გერონტი. ერეკლე მეორე, გამომცემლობა სახელგამი, თბილისი, 1942;
- **შველიძე 2005:** შველიძე დიმიტრი. ევროპული ცნობები ერეკლე მეორის შესახებ, თბილისი, 2005;
- **შველიძე 2004:** შველიძე დიმიტრი. რატომ არ (ვერ) გააერთიანა ერეკლე მეფემ საქართველო, გაზ. „24 საათი“, 2004 წ. №230, გვ. 14.

Medea Gvinchidze
BA in History, TSU
dea.gvinchidze@gmail.com

THE TREATISE OF THE GEORGIAN KINGS AND PRINCES OF 1790 AND THE POLITICAL SITUATION IN THE GEORGIAN KINGDOMS AND PRINCIPALITIES

(SUMMARY)

This article explores the political dynamics of late 18th-century Georgia, focusing on the 1780s and 1790s – a pivotal period when the restoration of national unity became a central theme of Georgian statecraft. Following the unification of the kingdoms of Kartli and Kakheti under Erekle II in 1762, there arose a significant historical opportunity to incorporate Western Georgia (the Kingdom of Imereti) and the principalities into a single sovereign entity.

The study examines the critical events of 1790, when a delegation of Imeretian nobles and clergy formally offered the crown of Western Georgia to Erekle II. Despite the widespread support for unification among the social strata and the military elite, Erekle II ultimately declined the offer. This paper analyzes the multifaceted reasons behind this refusal, ranging from internal dynastic pressures – specifically the influence of Queen Darejan and the interests of the royal princes – to the precarious geopolitical situation. The author highlights that the fear of a new conflict with the Ottoman Empire, which regarded Imereti as its sphere of influence, and the restrictive nature of the 1783 Treaty of Georgievsk with the Russian Empire, played decisive roles in this outcome.

A central focus of the article is the "Treaty of the Iberians" (1790), orchestrated by the Vice-Chancellor Solomon Lyonidze. The paper argues that while formal legal unification failed, this treaty established a de facto confederation. By analyzing the text of the document, the author demonstrates how the Georgian monarchs and princes utilized the term "Iveria" to emphasize a shared ethnic, linguistic, and religious identity ("Iverianism"), transcending the fragmented provincial identities of the time. The treaty is presented as a sophisticated military-political alliance designed for mutual defense against common enemies and as an attempt to integrate Western Georgia into the protective umbrella of the Russian Empire.

In conclusion, the article posits that the 1790 Treaty was the ultimate expression of the Georgian political elite's desire for survival and unity. Although it did not prevent the eventual loss of independence, it serves as a testament to the advanced political thought of the era and the persistent aspiration for a unified Georgian state.